საქმე №1/ბ-178-2020 წელი
№060100119003002208

g a n a C e n i

saqarTvelos saxeliT

3 აპრილი, 2020 წელი **ქალაქი ქუთაისი**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამარ-თლემ **მარინე იმერლიშვილმა** ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე გ------ ხ-------ის ბრალდების №---------- სისხლის სამართლის საქმე.

გ------ ხ-----ე, დაბადებული 1----------ს, საქართველოს მოქალაქე, პი-რადი №----------, საშუალო განათლების მქონე, ქორწინებაში მყოფი, ნასამართლო-ბის არ მქონე, რეგისტრირებული ქ----------ში, ფაქ-ტობრივად მცხოვრები ვ----------ში, მსჯავრდებულია სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის განაჩენით დანაშაულისათვის, გათვა-ლისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 287[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეფარდებული აქვს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

aRwerilobiTi nawili:

გ------ ხ-----ეს გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრი დაედო სახერხ საამქროში მრგვა-ლი ხე-ტყის (მორის) სახერხი დანადგარის (ტექნიკის) და მოწყობილობის მონტაჟისათ-ვის რეგისტრაციის გარეშე.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:
ვ----------ში (ძ-------ი) მცხოვრებმა გ------ ხ-------ემ, თავის საკარმიდამო ნაკვეთში, დაამონტაჟა სახერხი დანადგარი და მოწყობილობა ისე, რომ ელექტრონულად არ დაურეგისტრირებია სახერხი საამქრო ელექტრონულ სისტე-მაში შესაბამის ვებპორტალზე. გ------ ხ-------ის დაურეგისტრირებელი სახერხი საამქ-რო გამოვლენილი იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავ-ლეთის რეგიონული სამმართველოს იმერეთის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების მუშაკების მიერ 2019 წლის 18 მარტს.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა დ------- ვ----------მ, რომელიც სააპელაციო საჩივ-რით ითხოვს გ------ ხ-------ის მიმართ შეფარდებული სასჯელის გამკაცრებას და მის-თვის სახერხი დანადგარის უსასყიდლოდ

ჩამორთმევას სახელმწიფოს სასარგებლოდ. მოთხოვნას ასაბუთებს იმ მოტივირებით, რომ გ------ ხ-------ემ ჩაიდინა განზრახი და-ნაშაული – იგი სახერხ საამქროს ფლობდა სათანადო ნებართვისა და რეგისტრაციის გარეშე, რაც მისგან არ მოითხოვდა რაიმე სახის მატერიალურ სახსრებს ან რაიმე სხვა სახის ძალისხმევას. საკმარისი იყო მხოლოდ ელეტრონულ სისტემაში ელექტრონული რეგისტრაცია, რაც გ------ ხ-------ემ არ გაითვალისწინა. მოცემულ შემთხვევაში სახერ-ხი დანადგარი წარმოადგენს დანაშაულის იარაღს, რაც სასამართლომ არ გაითვალის-წინა და გ------ ხ-------ეს განუსაზღვრა მხოლოდ ჯარიმა, ხოლო სახერხი დანადგარი დაუბრუნა მსჯავრდებულს. გ------ ხ-------ის მიმართ შეფარდებული სასჯელი შეუსა-ბამოდ მსუბუქია მის მიერ ჩადენილ ქმედებასთან. აღნიშნული სასჯელი ვერ უზრუნ-ველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას.

სააპელაციო საჩივარზე მსჯავრდებულს შესაგებელი არ წარმოუდგენია.

samotivacio nawili:

სააპელაციო პალატამ გააანალიზა საქმეში არსებული მტკიცებულებები, სააპელაციო სა-ჩივრის მოტივირებანი და მოთხოვნები, მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართ-ლოს მსჯავრდებულ გ------ ხ-------ის ქმედებისათვის მიცემული აქვს სწორი იურიდი-ული კვალიფიკაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 287[1]-ე მუხლის პირ-ველი ნაწილით.

რაც შეეხება მსჯავრდებულ გ------ ხ-------ის მიმართ დანიშნულ სასჯელს, პირველი ინსტანციის სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა საქართველოს სისხ-ლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელის დანიშვნის ზო-გადი საწყისები - დანაშაულის მოტივი, მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწი-ნააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორცი-ელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხ-ლით განსაზღვრულ სასჯელის მიზანი - სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაუ-ლის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია, აგრეთვე ის გარემოება, რომ გ------ ხ-------ემ დაადასტურა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, არის ხანდაზმული ასაკის და გ------ ხ-------ის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ხასიათის და ხარისხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებით სასჯე-ლად დაუნიშნა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. სააპელაციო პალატა ეთანხ-მება აღნიშნულს და მიიჩნევს, რომ გ------ ხ-------ის მიმართ შეფარდებული სასჯელი სრულად შეესაბამება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ხასიათს, ხარისხს, მსჯავრდებულის პიროვნებას და არ არსებობს გასაჩივრებული განაჩენით დანიშნული სასჯელის ნაწილში მსჯავრდებულისათვის საუარესო ცვლილების შეტანის საფუძ-ველი.

რაც შეეძება გ------ ხ-------ისათვის სახერხი დანადგარის ჩამორთმევას, სააპელაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას აღნიშნულის თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის

მეოთხე ნაწი-ლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან **სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში.**

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სახელმწიფო ბრალმდებელს პირველი ინსტანციის სა-სამართლოში საქმის განხილვისას სასამართლოს წინაშე არ დაუყენებია შუამდგომლობა სახერხი დანადგარის უსასყიდლოდ ჩამორთმევის თაობაზე სახელმწიფოს სასარგებ-ლოდ, რის გამოც სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის განაჩენი გ------ ხ-------ის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელი, ხოლო სააპე-ლაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

sarezolucio nawili:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

d a a d g i n a :

გ------ ხ------ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელი:

გ------ ხ-------ე ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კო-დექსის 287[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზ-ღვროს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ გ------ ხ-------ის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გა-უქმებულია.

ნივთიერი მტკიცებულება – სახერხი დანადგარი და ხის მორები, რომლებიც ინახება ვ----------ში, დაუბრუნდეს გ------ ხ-------ეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ნივთიერი მტკიცებულება – საქმეზე დართული ერთი დისკი (ფოტოსურათები) დარჩეს საქმეში, მისი შენახვის ვადით.

სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სა-მართლის საქმეთა პალატაში მისი დადგენიდან 01 (ერთი) თვის ვადაში ქუთაისის საა-პელაციო სასამართლოს მეშვეობით, საკასაციო წესით.

მოსამართლე: **marine imerliSvili**